# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 355

"9" აგვისტო 2022 წ

ქ. თბილისი

### ქალაქ თბილისში, ჰოსპიტლის შესახვევი №7-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ჰოსპიტლის შესახვევი №7-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 2 აგვისტოს №22.1186.1260 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ჰოსპიტალის შესახვევი №7-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ამავე დანართით გათვალისწინებული პირთათვის, გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

*დანართი 1*

| სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ქ. თბილისი, ჰოსპიტლის შესახვევი N7 | | |
|---|---|---|---|---|
| | | ფართი (კვ.მ.) | სართული | საკადასტრო კოდი |
| ივეტა შარია | 37001034130 | 25.40 | სართული 7 | 01.17.12.023.049.01.613 |
| ბელა ზაგალიშვილი | 40001009562 | 55.28 | სართული 8 | 01.17.12.023.049.01.599 |
| როლეტა ნაჭყებია | 29001035145 | 70.71 | სართული 8 | 01.17.12.023.049.01.597 |
| გურგენ სესიტაშვილი | 40001001046 | 42.03 | სართული 8 | 01.17.12.023.049.01.606 |
| ქეთევან კობახიძე | 18001055585 | 81.24 | სართული 8 | 01.17.12.023.049.01.602 |